№ 226
პარასკევი, 23 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 226
პარასკევი, 23 ოქტომბერი, 1898 წ.
რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში 14 გვერდია.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ნადვორნი სოვეტნიკობა—ტფილისის გუბერნიის გლეხის საქმეთა საკრებულოს მდივანს ყიფშიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ბორჩალოს სამაზრო პოლიციის გამგეობის საქმის მწარმოებელს თავ. ბარათაშვილს, ქ. ტფილისის პოლიციის მოხელეებს თავ. რატიშვილს და საყვარელიძეს.

ახალი ამბავი

⁂ 21 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზით საშუალო აზიაში გაემგზავრა მისი უმაღლესობა პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი. როგორც ვუწყით პრინცი სამარკანდის ოლქში მიბრძანდება შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად. პრინცს თან ახლავან მკურნალები და მეცნიერნი. ტფილისის სადგურზედ მის უმაღლესობას მიეგებნენ დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, იმის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, ტფილისის პოლიცმეისტერი და სხვანი. მის უმაღლესობას თან გაჰყვა აგრეთვე პოლკოვნიკი თავ. გიორგი ილიას ძე ჯამბაკურ-ორბელიანი.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა განკარგულება გასცა, წინადადება მისცენ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში შემოსაღებ ცვლილებათა შესახების დადგენილების თანახმად დაუყოვნებლივ შეუდგნენ ბანკის 105 რწმუნებულის არჩევას იმ წესით, რა წესითაც სამაზრო სხვა თანამდებობაზედ ირჩევენ ხოლმე. ამასთან ის, თუ რომელ მაზრიდგან რამდენი რწმუნებული იქმნას ამორჩეული, უნდა გარდაწყვიტოს თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ.

⁂ საქართველოს ექსარხოსის შუამდგომლობის თანახმად, უწმ. სინოდმა საქართველოს საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ჰერმოგენი. არქიმანდრიტის ჰერმოგენის ადგილას საბჭოს წევრად არჩეულ იქმნა იმავე სემინარიის მასწავლებელი ი. ი. ფერაძე.

⁂ აჩისხატის სობოროსთან დაარსებულ იქმნა ერთ-კლასიანი სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელი ორსავე სქესის ბავშვთათვის. სკოლაში სწავლა 18 ოქტომბერს დაიწყო. მიღებულ იქმნა 45 ბავშვი, ბევრს უადგილობისა გამო უარი ეთქვა. საეპარქიო საბჭომ 200 მანეთი შემწეობა აღმოუჩინა ამ სასწავლებელს.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება მოხდება დღეს, 23 ოქტომბერს.

⁂ როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, იმ კომისიას, რომელიც ტფილისში სახალხო კითხვებსა და წარმოდგენებსა მართავს, აზრადა აქვს ააგოს ტფილისში საკუთარი თეატრი, სადაც მოთავსებული უნდა იქმნეს აგრეთვე დარბაზი სახალხო კითხვებისათვის. კომისიამ უკვე მოჰკრიბა ამ საქმისათვის 10,000 მანეთი, მაგრამ ეს ფული საკმაო არ არის. საჭიროა არა ნაკლებ 40,000 მანეთისა. ამიტომ კომისიამ მიჰმართა ქალაქის საბჭოს და სთხოვა: 1, დაეთმოს ნაჭერი მიწა ზომით 1000 ოთხკუთხი საჟენი თეატრის შენობის ასაგებად; 2, გამართულ იქმნას ხელის მოწერა როგორც ხმოსნებს, აგრეთვე მოქალაქეთა შორის შემოწირულების მოსაკრებად, ხოლო თუ ამ რიგად საკმაო ფული არ მოიკრიბა, რაც დააკლდება, ის ქალაქის კასსიდგან იქმნას შევსებული.

⁂ საქმე თავ. გიორგი შალიკაშვილისა და აზნ. ივანე მამაცაშვილისა, რომელთაც იაკობ ხოვხუნის მოკვლის განზრახვის ბრალი ედებათ და რომელთაც ტფილისის ოლქის სასამართლომ ტომსკის გუბერნიაში გადასახლება გადაუწყვიტა, განსაჩივრებულ იქმნა ბრალმდებელისა და აგრეთვე ბრალდებულთა ვექილების მიერ.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით საქართველოს საეპარქიო საბჭოს აზრადა აქვს დააარსოს თელავის მაზრის სოფ. შილდაში მეორე კლასიანი სამრევლო-საეკკლესიო სკოლა.

⁂ იგივე გაზეთი სწერს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სასწავლებელთ ფულით დახმარება აღმოეჩინოთ.

⁂ როგორც გაზ. “ახ. მიმ.“ სწერენ, გორის მაზრას სოფ. ხაშურსა და იდუმალში საქონლის ჭირი გაჩენილა.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ ვანიდგან, რომ აქ გერმანელი ორი მეცნიერი მოვიდა—ბელკი და ლემანი ამ ქალაქის ლურსმულის წარწერების შესასწავლადაო. ერთი მათგანი ალჯუზარში წავიდა ახალის წარწერების მოსაძებნად, მაგრამ გზაში ქურთები დაესხენ თავს, გაძარცვეს და დასჭრეს კიდეც, ჭრილობა მძიმე აღმოჩნდაო.

⁂ „С.-Петер. Вѣд.“-ი სწერს, რომ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორის ვ. ი. კოვალევსკის ტფილისში ყოფნის დროს საბოლოოდ გარდასწყდა, რომ დაარსებულ იქმნას ტფილისში სახელმწიფო გლეხთა ბანკის განყოფილება, რომელსაც ნება ექმნება შეიძინოს თავისუფალი მიწები ყარსის ოლქსა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიებში რუსების დასასახლებლად.

⁂ „ტფ. ფურც.“-ი სწერს, რომ ბორჩალოს მაზრის უფროსად ჰნიშნავენ ბ-ნ პოდგურსკის, რომელიც სტავროპოლის გუბერნიაში მსახურობს.

⁂ მცხეთა. სამშაბათს, 20 ოქტომბერს, მცხეთაში მობრძანდა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი მამა ჰერმოგენი მეექვსე კლასის მოწაფეებით. იმ დღეს მამა ჰერმოგენი ტაძრის კრებულით მწირველი ბრძანდებოდა სვეტი-ცხოველში. წირვის დროს ჰგალობდნენ ქართულად სემინარიისა და ადგილობრივ სამრევლო სასწავლებლის მოსწავლენი. წირვაზედ იქადაგა მღვდელმა პლატონ ხუროშვილმა, რომელმაც აუხსნა ხალხს სახე მეფის ალექსანდრე III, როგორც მშვიდობისმყოფელისა. ბოლოს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. სემინარიის მოსწავლეებმა დაათვალიერეს სამთავრო დედათა მონასტერი და ჯვრის მონასტერი. დიდად მოგვწონს აზრი მამა რექტორისა—გააცნოს ჩვენს მწყემსთა მოსწავლე ახალთაობას ძველი წმიდა ადგილები და მონასტრები და შთაუნერგოს ის უკვდავი გრძნობანი, რომლითაც იყვნენ აღვსილნი ჩვენი სულიერი მამანი.

⁂ თელავი. წელს ძლიერ კარგი მოსავალი იყო ღვინისა თელავის

ფელეტონი

სცენის მოყვარეთა წარმოდგენა

ამბავი

პოლ რენესი

I

კარგა ხნის ლაპარაკისა და კამათის შემდეგ, როლები, როგორც იყო, გაინაწილეს და ყოველ გვარ უთანხმოებას ბოლო მოუღეს. მაგრამ მაინც ამ კამათსა და ლაპარაკს მეტად ბევრი დრო მოუნდა. ხან ერთი იტყოდა უარს, ეს როლი მე არ მომწონსო, ხან მეორე განაცხადებდა, ეს როლი ჩემს ნიჭს არ შეეფერებაო. ცქრიალა და გასათხოვარმა ლინა იველისმა, რაკი გაიგო, რომ ახალგაზდა ქალის როლს, იმ ქალისას, რომელიც ქმარს ატყუებდა, ქ-ნი ალმონდი თამაშობდა, ხოლო იმის საყვარლის როლს—რობერტ ტერიე, გადაჭრით განაცხადა, რომ წარმოდგენაში მე მონაწილეობას არ მივიღებო. რამდენი არ ეხვეწნენ, რამდენი არ ემუდარნენ, მაგრამ მაინც იმის თანხმობას არაფერი ეშველა, ამიტომ იმის როლი სხვა ქალს გადასცეს. თანდათან ყველაფერი მოეწყო; მეტად ბევრი ტანჯვა და წვალება პიესის ავტორმა, საუბედუროდ სცენის მოყვარეთა ნაცნობმა, გამოიარა. უპირველეს ყოვლისა ავტორი იძულებული გახდა პიესაში გამოყვანილ ქალთათვის წლოვანება დაეკლო, შემდეგ ზოგიერთი სცენა გამოეშო, ხოლო მონოლოგები, განსაკუთრებით ის მონოლოგები, სადაც სიყვარულზედ იყო ლაპარაკი, ერთი-ორად გაედიდებინა; ერთის სიტყვით საწყალ ავტორს თითქმის ხელ-ახლა მოუხდა პიესის დაწერა.

ბოლოს რეპეტიციებიც დაიწყეს. სცენის მოყვარეთ ყველგან შეჰხვდებოდით: ოთახებში, ბაღში, აივანზედ, სადაც ისინი გატაცებით როლებსა სწავლობდნენ. ხან პიესის ამა თუ იმ მოქმედის პირის ხასიათის გამო ცხარე კამათიც კი ატყდებოდა ხოლმე; მაგრამ ამ კამათს უმეტეს ნაწილად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. განსაკუთრებით დიდის მეცადინეობით როლებს ქ-ნი ალმონდი და ბ-ნი რობერტ ტერიე სწავლობდნენ.

ახალგაზდა კაცი მხოლოდ ოცდარვა წლისა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა მან მთელის თავის აუარებელის ქონების მიფლანგვა უკვე მოასწრო. ეხლა იმის იმედი ჰქონდა, რომ მდიდარის ცოლის შემწეობით გავისტუმრებ მოვალეებს და ახალს ცხოვრებას შევუდგებიო. ასეთ საცოლედ ლინა იველისი იყო. ეს ქალი, გარდა იმისა, რომ ლამაზი და ახალგაზდა იყო, ერთ მილიონ მზითევის პატრონადაც ითვლებოდა. ტერიე უკვე აედევნა და არშიყობა დაუწყო მდიდარ საცოლეს, როდესაც ქ-ნ ალმონდის მოულოდნელმა მონაწილეობამ წარმოდგენაში სრულიად შესცვალა იმის განზრახვა.

II

ახალგაზდა ქალი მარტო მოვიდა, იმისი ქმარი სხვაგან იყო და დაჰპირდა, წარმოდგენის დღეს მეც მოვალო. არავისთვის საიდუმლო არ იყო, რომ მეუღლენი ალმონდ ცუდად სცხოვრობდნენ. ახალგაზდა ქალს ყველა იბრალებდა, რადგანაც იმისი ქმარი ლოთი და ქაღალდის მოთამაშე იყო და მთელ ღამეს კლუბში ატარებდა. ახალგაზდა, თავდავიწყებით შეყვარებულის ქალის როლი ძალიან მოსწონდა ქ-ნ ალმონდს, ამიტომ გატაცებით შეუდგა ამ როლის, განსაკუთრებით გრძელის მონოლოგების სწავლებას. არც ტერიე აკლებდა მეცადინეობას; ის ისეთს გრძნობით, ისეთის აღტაცებით ამბობდა: მიყვარხარო, რომ ახალგაზდა ქალს ხანდახან ეჭვიც-კი შეეპარებოდა ხოლმე, მართლა ხომ არ უყვარვარო. პირველად თითონვე უარ-ჰყო ეს აზრი, მაგრამ რაც დრო და ხანი გადიოდა იმის სიმართლეში უფრო და უფრო რწმუნდებოდა. ქ-ნ ალმონდს გულით უნდოდა ნამდვილი სიყვარული გამოეცადნა, მაგრამ ახალგაზდა ქალს ამასთან ეშინოდა, არ შევცდე და უბრალო გატაცება ნამდვილ გრძნობათ არ მივიღოო. იდუმალი ხმა ხშირად ჩასჩურჩულებდა ქალს: „რობერტს გატაცებით, გულწრფელის სიყვარულით უყვარხარო“.

რეპეტიციების დროს ქ-ნი ალმონდი და ბ-ნი რობერტი თითქმის თავდავიწყებას ეძლეოდნენ. ამ დროს პიესას ნამდვილ ცხოვრებისაგან ვეღარ არჩევდნენ: ისეთის გატაცებით თამაშობდნენ, რომ კაცს ეგონებოდა, თითონ გამოსცადეს ის, რაც პიესაში სწერიაო. მხოლოდ როგორღაც მესამე მოქმედების ბოლო არ ეხერხებოდათ. პიესით, მესამე მოქმედებაში შეყვარებულთ ცხარე ლაპარაკი მოსდით, ამ ლაპარაკის დროს გმირის-ქალის ქმარი შემოდის. როგორც უკვე ვსთქვით, ეს უკანასკნელი სცენა არ ეხერხებოდათ, მესამე კაცი თითქოს ხელს უშლიდა იმათ გატაცებას, იმათ გრძნობას. ქმრის როლს თამაშობდა ბ-ნი მარტენი, სრულიად უნიჭო კა-

მაზრაში. რაღა თქმა უნდა, ღვინის ფასიც ძლიერ დაეცა—საპალნე *) 40—80 მანეთად ჰფასობს, მაშინ როდესაც შარშან ამ დროს 80—120 მან. იყიდებოდა.

დადგა თუ არა ოქტომბერი, კახეთს მოაწყდნენ კავკაველი სირაჯები. ღვინით სავსეა სოფლებიც და ქალაქიც. თელავში შეხვალთ თუ არა, პირველადვე ღვინის სუნი გეცემათ. სოფლის დედა-კაცები, რომელთაც წინად კვერცხები, ქათმები, გამომცხვარი პური, წინდები და პაჭიჭები მიჰქონდათ თელავში გასასყიდად, ეხლა ხელადებით და ჩარექებით ღვინოსაც ეზიდებიან.

კახეთის საუფლისწულო მამულებში წელს ასი ათასი ვედრო ღვინო მოსულა და ამ რიცხვში 8800 ვედრო მარტო ყურიათუზნის ერთს ზვარში „კიკიანელში“, რომელიც სივრცით 12 დღიურია.

⁂ ქუთაისი. როგორც მკითხველებს მოეხსენება, კარგა ხანია მას აქეთ, რაც ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ ბ-ნს ანჯაფარიძეს თავი დაალწია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ამხანაგობამ სრულიად შესწყვიტა საქმის წარმოებაც. ამის მიუხედავად ამხანაგობას დიდი ხარჯი აწევს კისერზედ: სახლის ქირა, ასასის ჯამაგირი და სხვა წვრილმანი ხარჯი. რაღა თქმა უნდა, ამხანაგობის წევრები არა თუ მოგებას ვერ მოიღებენ ამხანაგობისაგან, არამედ საწევრო ფულიც საეჭვო მდგომარეობაშია. ამხანაგობის მომეტებული ნაწილი საქმის მოსპობას თხოულობს, მაგრამ გამგეობისაგან ვერავითარს პასუხს ვერ ეღირსა, დრო არის ამ საქმეს მომეტებული ყურადღება მიაქციონ: თუ სასიცოცხლოა იგი, გამოაღვიძონ და თუ სასიკვდილოა, სამუდამოდ გაუთავონ ანგარიში წევრებს.

⁂ ჭიათურა. ამ დღეებში ერთს აქაურს სამიკიტნოში ღვინოს შეექცეოდა ჭიათურის რამდენიმე რაინდი. კარგად რომ შეზარხოშდნენ, ერთმანეთთან ლაპარაკი აუტყდათ და ხანჯლებიც იშიშვლეს. იმათ სხვა რაინდებიც მიემატნენ, რომელნიც იმათთან არა ყოფილან, და ისეთი საერთო არეულობა ასტყდა, რომ ამაზედ უფრო საზარელს კაცი ვერას ჰნახავდა. სამოცზედ მეტი შიშველი ხანჯალი ტრიალებდა ჰაერში კაცის დასაჩეხად.

ვაჭრებმა დუქნები დაჰკეტეს. მოჩხუბართა გამშველებელი არავინ გაჩნდა, არც პოლიციელი და არც სხვა ვინმე. ჩხუბმა თითქმის ორს საათს გასტანა.

ამ ამბის შემდეგ არ გასულა ორი დღე, რომ ერთი რაინდთაგანი აქაურსავე მეპურეს მიადგა კარებზედ და თხოვნა დაუწყო—გინდა თუ არა 15 მანეთიანი ოქრო დამიხურდავეო. მეპურე ეფიცებოდა, არა მაქვს ხურდაო, მაგრამ თავგასული რაინდი თავისას არ იშლიდა. ბოლოს რომ ველარას გახდა, იძრო ხანჯალი, მეპურეს შეუტია და რამდენსამე ალაგას დასჭრა. ვინ იცის, იქნება კიდეც მოეკლა, მაგრამ იმედ-გადაწყვეტილი მეპურეც სწვდა მიწაზედ დაგდებულს ცულს, მოუბრუნდა თავხედს რაინდს და შიგ შუბლში დაჰკრა.

ამ ამბავმაც ისე, როგორც პირველმა, უყურადღებოდ ჩაიარა.

⁂ სოფ. ნიკორწმინდა, (რაჭა). ამ სოფელს ჩამოუდის მდინარე შაორი, რომელიც გათქმულია მშვენიერის კალმახით. ეს მდინარე იპარება მიწაში და რამდენიმე ვერსის მანძილზედ, ჭელიშის უდაბნოსთან ისევ გამოდის მიწიდგან, მაგრამ ხან-დახან სათვალეები, საიდგანაც წყალი იპარება, ამოივსება ხოლმე და წყალი ველარ გაატანს იმას, ერთს ადგილას სდგას, გუბდება და სამსა და ოთხს დღეში სულ მოივლის ხოლმე მთელს არე-მარეს. ერთი ასეთი შემთხვევა ამ ახლოს ხანშიაც მოხდა, მთელი მინდორი წყალმა დაჰფარა და ხალხს მისვლა-მოსვლა უჭირდა. ექვს ოქტომბერს სოფელს ჭელიადელის მცხოვრები ნიკოლოზა ჭელიძე თავისი შვილით შეშისათვის წასულა და რადგან წყალი დიდი ყოფილა, შეშა ტივად შეუკრავთ და ისე წამოუღიათ. ნაპირს რომ მოახლოვებიან პირველად შვილი გადმომხტარა ტივის გასაჩერებლად; საწყალს ჰგონებია, აქ დაბალი წყალი იქნებაო, საუბედუროდ წყალი იქ ერთობ ღრმა ყოფილა. იქვე ჩაუძირავს და დაურჩვია. დამრჩვალი მეოთხე დღეს ძლივს იპოვნეს.

⁂ დუშეთი. ის აფიცერი, რომლის სიკვდილის შესახებაც „ივერიაში“ ცნობა იყო დაბეჭდილი და რომელიც სოკოსაგან მოიწამლა, დღეს დაასაფლავეს. ამის გარდა კიდევ გარდაიცვალა ამავე აფიცრის ცოლი, მეორე შვილი და აგრეთვე მოსამსახურე ჯარის-კაცი, დარჩა ერთი ავადმყოფი პატარა ბავშვი, რომლის მორჩენის იმედიცა აქვთ.

ოთხისავე მიცვალებულის გვამი თორმეტ საათზედ გამოასვენეს სამლოცველოდგან ჯარისა და მრავალის ხალხის დასწრებით და დაასაფლავეს ადგილობრივს სასაფლაოზედ. შესაზარსა და გულის გასაგმირს სურათს წარმოადგენდა ეს პროცესია, რომელიც ჰმარხავდა მთელს ოჯახს, ერთს დღეს დახოცილს, ერთს საერთო საფლავში დასამარხს; ოჯახს, რომელიც ამ რამდენისამე დღის წინად თავს ბედნიერადა სთვლიდა ამ მუხთალს წუთი სოფელში და არ იცოდა, რა განსაცდელი მოელოდა.

აქ ბევრნი საყვედურს ამბობენ და მითქმა-მოთქმაა, რომ ექიმებმა ვერ ივარგეს, წინდაწინვე რძე ან მაწონი რომ დაელევინებინათ მოწამლულებისთვის, ამ უბედურს შემთხვევას ასეთი სამწუხარო შედეგი არ მოჰყვებოდაო. იტყვიან ხოლმე, სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო. ამისი-კი რა მოგახსენოთ, მაგრამ რომ სხვის საქმის შეტყობა-გაგებაში მართლაც სიბრძნეს ხშირად ვჩემულობთ ხოლმე და ბევრს შემთხვევაში ძალიან მოურიდებლადაც, ეს-კი აშკარაა.

ასეა ამ შემთხვევაშიაც. ჩვენ, გარეშე მაყურებლები, რომლებსაც არც ზნეობრივი და არც კანონის წინაშე არავითარი პასუხის გება არ მოგველის წამლობის ცუდი შედეგის გამო, ვამბობთ, ექიმს ესა და ეს საშუალება უნდა ეხმარა, რომ უბედურობისგან დაეხსნა ადამიანიო, მაგრამ ამ წამლის ხმარებასაც რომ სასურველი შედეგი არ მოჰყოლოდა, მაშინ ჩვენვე გამოვაჩენდით ურმის გადაბრუნების შემდეგ სხვა გზას.

ვთქვათ, ეხმარა ექიმს ამ შემთხვევაში რძე ან მაწონი და ვერაფერი-კი ეშველა, მაშინ, ეჭვი არაა, ჩვენვე ვიტყოდით, რომ ექიმებმა სამკურნალო მეცნიერებისაგან სასარგებლოდ ცნობილი და გამოცდილი საშუალება უარ-ჰყვეს და მკითხავ-მარჩიელებისაგან ხმარებულს წამალს მიმართესო. საქმე-კი ის არის, რომ მთელი სახლობა წინა დღეს მოიწამლა, მაგრამ ეს თითონ მოწამლულებმაც მეორე დღეს შეიტყეს და ექიმსაც პირველადვე არ გაუმჟღავნეს მიზეზი ავადმყოფობისა.

ვინ არ იცის, რომ რაც უნდა უებარი წამალი იყოს, ამდენი ხნის შემდეგ, რაკი შხამი ადამიანს სხეულში დაუვლის, ველარა უებრობს და ვერა ჰშველის.

⁂ ამ ბოლოს დროს ყვავილი ქალაქში ხელ ახლა გავრცელდა. იგი უფრო მძვინვარებს შემდეგ ქუჩების მცხოვრებლთა შორის: სომხისა, პატარა-ტალახისა, ხოჯივანქის და ლაზარევისა, აგრეთვე სურბ-კარაპეტისა.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „სხ. მიმ.“-ას: ადგილობრივ საგუბერნიო გამგეობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმმა საკუთარი სანავთ-სადგურო ბაქანები დაიარსოს.

⁂ დაჭრილი სიმონ გუგუშვილი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში იწვა, 20 ოქტომბერს ღამე გარდაიცვალა.

ბათუმის არჩევანები

—

კვირას, 18 ოქტომბერს, ბათუმის კლუბის დარბაზში მოხდა არჩევანები ქალაქის ხმოსანთა. დილის 8 საათიდგან დაიწყეს მოსვლა ამომრჩევლებმა. სულ შეიკრიბა 305 ამომრჩეველი, ამათში 28 კაცს ორ-ორი კენჭი ჰქონდათ. ქალაქის მოურავის მიერ წაკითხულ იქმნა არჩევანების შესახებ კანონ-დებულებანი. შემდეგ 104 კაცმა დაიდგა საარჩევანო ყუთი. ქალაქის მოურავმა ლ. ასათიანმა არ მოისურვა ყუთი დაედგა. უარი სთქვეს აგრეთვე ყუთის დადგმაზე კ. კ. მგელაძემ, თავ. ნ. ბ. ერისთავმა, ა. გ. მდივანმა, დ. ი. ქურულმა და თავ. ვ. გ. მაჩაბელმა.

332 ამომრჩეველთა შორის იყო ქართველი 110 და ამდენივე სომეხი, ბერძენი-40-მდე, ოსმალელი—37 და ამდენივე სხვა-და-სხვა ეროვნებისა. კენჭი იყარეს ხმოსნობაზე 33 ქართველმა, 35 სომეხმა, 7 ბერძენმა, 6 ოსმალელმა და 25-მდე რუსმა და სხვა ეროვნების კაცმა.

ხმოსნებად არჩეულთა სია უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. ეხლა ვბეჭდავთ იმათ სიასაც, რომელთაც ყუთები დაიდგეს და არ იქმნენ არჩეულნი:

ვოლსკი 161 თეთრი და 171 შავი, ქიქოძე 166—166, მავროპულო 163—169, ქუთათელაძე 157—174, საბაშვილი 117—215, მჭედლოვი 164—167, სუხანოვი 129—203, კაკაბაძე 137—192, გუგუშვილი 156—163, იაკალისი 157—175, სელიტრენიკოვი 159—178, გოგიჯანოვი 158—174, ივანოვი (წევრი ქალაქის გამგეობისა) 124—208, ბერძენიშვილი 131—201, არჩი-ოღლი 117—215, მჭედლოვი 133—199, ბეთანოვი 157—174, ნიკოლაძე 143—184, პეშეკეროვი 161—170, ჯაიანი 80—251, პარონბეგოვი 173—153, ოვანესოვი 166—166, საბახტარიშვილი 160—172, ბარკალაია 126—206, ჯაყელი 155—177, პოლსკი 134—198, ტარუმოვი 168—162, ტრიანტაფელიდესი 240—92, ბომბი 151—179, პალმი 188—134, ხოჯამიროვი 197—95, სულეიმან-აღა 122—210, აკოფოვი 117—215, კასკოვი 110—222, აკიმიანი 130—202, მნაცაკანოვი 154—178, ტროვიმოვი 138—194, მამულოვი 140—192, შეშიკ-ოღლი 141—191, ლოლუა 104—228, ვარძელოვი 135—192, პუჩინიანი 109—223, შახნაზაროვი 145—187, ბარათაშვილი 168—164, სუკიაიანი 138—194, გურჩინი 113—158, მიქელაიშვილი 96—237, წატუროვი 117—214, პანახევიჩი 137—195, შადინოვი 121—211, ფარემუზოვი 159—173, ჩხეიძე 143—185, ოჰანეზოვი 141—190, ანჯაფარიძე 144—188, ზაქარიანი 115—217, კახიანი 112—220, მიღნავონაძე 111—220, გალდავაძე 93—239, ოდო-ბაშ-ოღლი 75—257, მჭედლოვი 101—231, ტოხუმოვი 126—207, აბაშიძე ჰუსეინ 141—191, პეტრენკო 101—231, პოლსკი 139—193, ხაჩიკიანი 112—220, ალი-ეფენდი 116—216, ვრობლევსკი 151—181, იანოვსკი 143—189, კანდელიძე 93—239, წულაძე 81—251, ალიბეგოვი 121—

---

*) საპალნე 32 ჩაფია, ჩაფი—4½ თუნგი.

ცი, რომელმაც მხოლოდ იმიტომ იკისრა ამ როლის შესრულება, რომ სხვა მოთამაშე არავინ იყო. ქ-ნი ალმონდი და რობერტი დარწმუნებული იყვნენ, რომ მარტენის გულ-ცივი და უხეირო თამაშობა ჩვენზედაც იმოქმედებს და ამ სცენას ცუდად ჩაგვატარებინებსო. უმარტენოდაც ითამაშეს ეს სცენა, მაგრამ უფრო ცუდათ გამოვიდა. მაშინ ახალგაზდები მიხვდნენ, რომ მათ და პიესას შორის კავშირია და ამიტომ მხოლოდ ის სცენები ეხერხებათ, სადაც გრძნობის გამოთქმა, გამოაშკარავება შეიძლება. ყოველს ეჭვს გარეშე იყო, რომ ქ-ნ ალმონდსა და რობერტს ტერიეს გატაცებით შეუყვარდათ ერთმანეთი.

III

წარმოდგენა დაიწყეს. ბ-ნმა მარტენმა დეპეშა მიიღო, რომლითაც დაუყოვნებლივ შინ იბარებდნენ. საჭირო იყო იმის მაგიერ სცენაზედ სხვა ვინმე გამოეყვანათ. მარტენის როლი, როგორც უკვე ვსთქვით, უმნიშვნელო იყო, ის მხოლოდ მესამე მოქმების ბოლოში გამოდის, სწორედ იმ დროს, როდესაც ცოლი და საყვარელი გაცხარებულ ლაპარაკში არიან. რეჟისორმა ამ როლის შესრულება სთხოვა ბ-ნ ალმონდს, რომელიც ფარდის ახდამდე რამდენისამე წუთით ადრე მოვიდა. ალმონდი თავაზიანი კაცი იყო, დიდი ხვეწნა არ დასჭირდა, ხელად მოსართავ ოთახში წავიდა გრიმის გასაკეთებლად და როლის გასაცნობად. იმისმა ცოლმა არაფერი უწყოდა ქმრის ჩამოსვლის და წარმოდგენაში მონაწილეობის შესახებ.

პირველსავე მოქმედების დროს გამოაშკარავდა, რომ ქ-ნი ალმონდი დიდის სასცენო ნიჭით იყო დაჯილდოვებული. ახალგაზდა ქალმა ისეთის სინამდვილით გამოხატა ჯერ სულიერი ბრძოლა, შემდეგ გატაცება და უსაზღვრო სიყვარული, რომ დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა. ტაშის ცემას დასასრული არა ჰქონდა. ქ-ნი ალმონდ მართლაც რომ საუცხოვოდ თამაშობდა: ყოველი იმის სიტყვა, წინადადება გულ-წრფელი იყო.

განსაკუთრებით კარგად ჩაატარა მესამე მოქმედება. რა სინაზით და გრძნობით ეუბნებოდა ყოველს სიტყვას რობერტს! კაცს ეგონებოდა სცენაზედ ნამდვილი შეყვარებულნი არიან, რომელთაც დიდის ხნის წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ ძლივს მოუხდათ მარტოდ პირის-პირ ლაპარაკიო.

როლმა ისე გაიტაცა ახალგაზდა ქალი, რომ, როდესაც იმისმა ქმარმა კარები შემოაღო, სულ გადაავიწყდა სცენაზედ იყო თუ სხვაგან სადმე.

ქალი უცბად წამოხტა და აკანკალებულის, აღელვებულის ხმით ქმარს მიჰმართა:

— დიაღ! მიყვარს ეს!.. მიყვარს სავსებით, მთელის ჩემის ძალითა და ღონით!..

ქმარი გაშტერებული იდგა, არ იცოდა რა ეთქვა, რადგანაც ამ სიტყვების საპასუხო პიესაში არაფერი იყო. ამიტომ გაჩუმებული იდგა და უცდიდა რა იქმნება შემდეგო.

— რად მოხვედით? რა ნება გაქვთ ჩემს ცხოვრებაში ჩაერიოთ? განა პირველმა თქვენ არ გამანებეთ თავი? განა თქვენ არა მღალატობთ ყოველ დღე? რა გინდათ ჩემგან?!. მთელი ჩემი ქონება მოგეცით და ამის ნაცვლად მხოლოდ თავისუფლებასა ვთხოულობ. მე ნება მაქვს რაცა მსურს ის ჩავიდინო, თქვენ ანგარიშს არაფერში არ მოგცემთ...

ახალგაზდა ქალმა ისეთის გრძნობით წარმოსთქვა ეს სიტყვები, რომ დამსწრეთ, რომელთაც პიესის შინაარსი არ იცოდნენ, ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს მოთამაშე.

გაშტერებულმა ქმარმა აღარ იცოდა რა ექმნა. ბოლოს ამოიღო ის რვეული, სადაც როლი ჰქონდა ჩაწერილი და გამოუცხადა საზოგადოებას, რომ მე დამნაშავე არაფერში ვარო, რომ როლში მაგგვარი არაფერი არ მიწერიაო. ამასთან ისე ოხუნჯურადა სთქვა ეს სიტყვები, ისე სცდილობდა მწუხარე სახის გამომეტყველება მიეღო, რომ დარბაზში საშინელი სიცილი და ტაშის ცემა გაისმა.

საზოგადოებას ეგონა არტისტებმა განგებ მიაკერეს პიესას ეს კომიკური სურათი, რათა შეძლება მიეცათ ბ-ნ ალმონდისათვის თავისი კომიკური ნიჭი გამოეჩინა. რობერტ ტერიემ ისარგებლა იმით, რომ მოტყუებული ქმარი საზოგადოებას აცინებდა, ახალგაზდა ქალს ხელი წაავლო და შეუმჩნევლად სცენიდგან გაიყვანა.

მაგრამ ამ სურათმა ყველაზედ ერთნაირად არ იმოქმედა: იმ დროს, როდესაც საზოგადოება მხიარულად სიცილს ეძლეოდა, ლინა იველისი დარბაზის ერთს კუთხეში მიმალულიყო და მწარედ, გულ-ამოკვნესით სტიროდა.

ი. ა—ძე

211, სამოელიანი 116—216, ისაკ-ეფენდი 106—226, ვართიკოვი 110—222, ბაყალოვი 107—225, ვორონკოვი 89—243, სანდეცკი 124—208, ტერ-ასატუროვი 79—253, ტერ-ასატუროვი 107—225, შახბაზოვი 105—227, შახ-მელიქიანი 149—183, მაკაროვი 111—221, იუსკევიჩი 155—177.

სულ არჩეულ იქმნა 27 კაცი. ამათში 8 ქართველია: თავ. მ. მ. ნაკაშიძე 199 თეთრი, გ. ლ. ელიავა 193, თავ. დ. გ. მაჭუტაძე 181, ნ. ა. დუმბაძე 180, ი. ზ. გედევანიშვილი 178, დ. ი. ბარათაშვილი 168, ფეზლი-ბეგ-აბაშიძე 178 და ზია-ბეგ-აბაშიძე 167.

ხმოსანთა რიცხვს დააკლდა კიდევ 14 კაცი, რომელთა არჩევანიც შემდეგ მოხდება. ბათუმიდგან იწერებიან, რომ რამდენსამე ამომრჩეველს ჰსურთ საჩივარი შეიტანონ, რომ ეს არჩევანები კანონიერი არ იყო და გაუქმებულ იქმნასო.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფელი ურბნისი, 16 ოქტომბერი. სოფელი ურბნისი, როგორც უძველესი ნაქალაქევი, ყველა შეგნებულ კაცისათვის საინტერესოა. ჩვენი და უცხო ქვეყნის სწავლულნი და მეცნიერნი ხშირად მოდიან აქ. ამ თვის თორმეტს გვესტუმრნენ ბ-ნნი ბარონი დე-ბაი და გუგო კრაფტი, რომელნიც საფრანგეთიდგან არიან გამოგზავნილი რუსეთსა და საქართველოში სამეცნიერო აზრით. ტფილისიდგან მათ ახლდათ მთავარ-მართებლის სამმართველოს მოხელე კაპიტანი დიმიტრიევი, თუმანიშვილი და გორის ბოქაულის თანაშემწე ა. ხერხეულიძე. თერთმეტი საათი იყო, როდესაც გორიდგან მოვიდნენ აქ და დაჰყვეს ოთხ-საათამდის. ამ დროს განმავლობაში მათ დაათვალიერეს დიდებული ძველი ტაძარი, წმ. სტეფანეს სახელობაზედ აგებული. პირველმავე შეხედულობამ ამ ტაძრისამ სასიამოვნოდ იმოქმედა სტუმრებზედ. საუზმის შემდეგ სტუმრებმა გულდადებით დაათვალიერეს გარეთ კედლებზედ ასო მთავრული და მხედრული წარწერანი, გადაიღეს ტაძრის სურათი, სამი ხატის ფოტოგრაფიული სურათები. განსაკუთრებით მოეწონათ ჰსწავლულთ კედლის კანკელი, რომელზედაც მრავალი წმინდანია დახატული ქართულ გამოჯნებაზედ და ზედ წარწერანი აქვს. კანკელი ესე, როგორც ზედ წარწერა მოგვითხრობს, „შემკულია“ კასტანგ VI-ს მიერ, ხოლო, როგორც ბ-ნი ბარონი ჰფიქრობს, იგი კასტანგის დროზედ უძველესია; კასტანგს მხოლოდ „შემკობა“ უნდა ეკუთვნოდესო. ბარონს გულით უნდოდა მთლად გარდაეღო კანკელის ფოტოგრაფიული სურათი, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. სამაგიეროდ მან თავის წიგნაკში ჩაიწერა რამდენ რიგად არის კანკელზედ ხატები დახატული, თითო რიგზედ რამდენი ხატია და სახელდობრ რომელი წმინდანის ანუ დღესასწაულისა და სხ. ტაძრის სიდიადემ განცვიფრებაში მოიყვანა უცხო სტუმარნი, მხოლოდ მწუხარება გამოაცხადეს, რომ ეს ასეთი დიდებული ნაშთი ესრეთ უკიდურესს სიღარიბეშიაო.

ამ სიღარიბის მიზეზი, რასაკვირველია, ჩვენი დაუდევრობაა. გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ ურბნისის ტაძრის განსაახლებლად კომიტეტია შემდგარი, რომელიც შეწირულებას იღებსო, მაგრამ ერთმა ქვეყ-მოქმედმაც არ თანაუგრძნო ამ საქმეს, არავინ ორი შაური არ გაუწყდინა კომიტეტს, რომ ერთისათვის მეორეს წაეხედნა და ამითი ცოტაოდენი თანხა მაინც შეგროვილიყო.

ბარონს დე-ბაის გაეგონა, რომ სოფელს ურბნისში ძველ ნივთებს ჰპოულობენო და მოიწადინა მათი შეძენა. მისი სურვილი რომ გაიგეს გლეხებმა, ცოტა ყოყმანის შემდეგ, მოიტანეს მიწაში ნაპოვნი ძველი თიხის ჩარექა, ქვაბ ქოთანი, თითბრის სამაჯური და და სხვა. ყველა ესენი ბარონმა შეიძინა; ვინც რა ფასს დაადებდა, იმ ფასს აძლევდა. ძვირფასი განძეულობა—ოქროსი და ვერცხლისა—ორიოდ ბეჭდის გარდა, არა შეუძენია რა, რადგან გლეხებს არ მოუტანიათ. როგორც გლეხები ამბობენ, ყველა ძვირფასი ნივთები ურიებს შეუსყიდნიათ წინად.

ბოლოს უცხო სტუმრებმა გადაიღეს ადგილობრივის მღვდლის სახლობისა და ორიოდე გლეხის ფოტოგრაფიული სურათი და საღამოს ოთხ საათზედ დაბრუნდნენ ქ. გორში, საიდგანაც იმავე საღამოს ტფილისს წავიდოდნენ.

მღვ. ხეით გამრეკელი

◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „კავკას“-ში დაბეჭდილია წერილი ავაზაკობის შესახებ და მოყვანილია სტატისტიკური ცნობები იმისა, თუ რამდენჯერ მომხდარა ავაზაკობა სხვა-და-სხვა გუბერნიაში რვა თვის განმავლობაში შარშანა და წელს. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, ავაზაკობა მომხდარა:

	შარშან	წელს
ტფილისის გუბერნიაში . .	166	195—ჯერ
ქუთაისისაში . .	163	85—
განჯისაში . .	479	278—
ბაქოსაში . .	546	437—
ერევნის გუბ. და ყარსის ოლქში .	175	187—

ავაზაკობის შემცირება განჯის გუბერნიაში, წერილის ავტორის აზრით, აიხსნება იმითი, რომ ადგილობრივმა ახალმა საგუბერნიო მთავრობამ დიდი უნარი და მხნეობა გამოიჩინა ავაზაკებთან ბრძოლის საქმეში. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, იქ ავაზაკების შემცირების მიზეზი ის არის,

რომ წელს დიდი ყურადღება მიაქციეს ოსმალეთის საზღვარს, ამასთან, შეიპყრეს ავაზაკთა უმთავრესი ბრბონი. გარდა ამისა, მცხოვრებლებთ ცოტად თუ ბევრად თავი დააღწიეს იმ გაჭირვებებს, რომელიც წყალდიდობამ მიაყენა და რომელმაც ავაზაკობას ნიადაგი განუმზადა.

ცოტაოდენი დაქვეითება ტფილისის გუბერნიას ეტყობა. ამ გუბერნიაში ავაზაკობამ 15$^0/_0$-თ აიწია და დიდი ყურადღება მიიქცია მოხელეების, საზოგადოებისა და მწერლობისაცაო.

◆

რუსეთი

—

მთავრობას აზრადა აქვს კუნძულ სახალინზედ დააარსოს რამდენიმე პირველ-დაწყებითი სასწავლებელი კატორღაში გაგზავნილთა შვილებისათვის.

— საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს წინადადება შეიტანოს სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ 1899 წლიდგან ხუთის წლის განმავლობაში გადადებულ იქმნას 20,000 მანეთი რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას დაბალ სახელოსნო სკოლების დასაარსებლად.

— ქალაქ ხარკოვში ამ ახლო ხანში შეუდგებიან ესრედ წოდებულ სახალხო სახლის აგებას. ამ შენობაში მოთავსებული იქმნება: თეატრი, სჩაიე, წიგნთ-საცავი, სამკითხველო, დარბაზი ხოროსათვის და სავაჭრო ადგილი, სადაც სახალხო წიგნებს გაჰყიდიან. ამ საქმისათვის გადადებულია 100 ათასი მანეთი. შენობა ქვითკირისა იქმნება.

— გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა გაამრავლოს რკინის გზის სასწავლებელთა რიცხვი.

— იმავე სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რკინის-გზის ის მაშინისტები და მათი თანაშემწენი, რომელნიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ თანამდებობას, დრო გამოშვებით დაჯილდოვებულ იქმნენ ხოლმე.

◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი. როგორც დეპეშამ ამბავი მოიტანა, ახალ სამინისტროს შედგენა დიუპუის უკისრია, რომელიც რამდენჯერმე იყო ქვეყნის მართველად და რომელიც ცნობილია ვითარცა საუკეთესო საპოლიტიკო მოღვაწე. ახალს სამინისტროში ბევრი ძველი მინისტრიც დარჩა, როგორც მაგალითად დელკასე—გარეშე საქმეთა მინისტრად, ლოკრუა—ზღვათა, პეიტრალი—ფინანსთა, ვიჟე—მიწათ-მოქმედებისა. სამხედრო მინისტრად ფრეისინეა მოხსენებული, რომელიც ინჟინერია და არა სამხედრო კაცი. ეს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე წინადაც იყო სამხედრო მინისტრად და ამ საქმეშიაც შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა და ყველა გენერალ-მინისტრზედ უფრო კარგად დააყენა სამხედრო საქმეები.

ბრისონი დრეიფუსის საქმის გამო დასცეს, მაგრამ, როგორც ეტყობა, დიუპუის აზრადაც არ აქვს ამ საქმეს წინ აღუდგეს და მისს კანონიერს მსვლელობას ხელი შეუშალოს, „ჰავასის სააგენტოს“ სიტყვით, დიუპუიმ უკვე განაცხადა, რომ დრეიფუსის საქმეს სასამართლო აწარმოებს და ყველა კეთილ-სინდისიერი კაცი იმის გარდაწყვეტილებას დაჰყვებოდებაო.

— შანუანს უთქვამს გაზ. „Liberte“-ს თანამშრომლისათვის, რომ დანაშთენ მინისტრებს და ჩემს შორის განხეთქილების მიზეზი ის იყო, რომ ბრისონმა მომთხოვა საკასაციო პალატას დრეიფუსის საქმის შესახებ საიდუმლო საბუთის ქაღალდები გარდავცეო.

საფრანგეთის ზომიერ დასის გაზეთებიც-კი საშინლად ჰკიცხავენ შანუანს.

გაზ. „Temps“-ი ხასიათის სიმტკიცეს უქებს ბრისონს და ამბობს, რომ მან დიდი ღვაწლი დასდო სამშობლოს იმით, რომ დრეიფუსის საქმეს ასეთი მიმართულება მისცაო. ეს ღვაწლი საფრანგეთის წინაშე ისეთი დიდია, რომ იმის ჩადენა მხოლოდ ბრისონს შეეძლოო. ბრისონს შეიძლება ან დაეთანხმოთ, ან არა, მაგრამ უეჭველ შემთხვევაში მისი საქციელი დრეიფუსის საქმის შესახებ სამუდამოდ ქების ღირსიაო.

— ავსტრიის უმაღლეს სასამართლოს პრეზიდენტს გრაფ ფრიდრიხ შენბორნს გაზ. „Figaro“-ში წერილი დაუბეჭდია, რომელშიც ამტკიცებს თურმე, რომ სამართლის მხრივ საფრანგეთს აქვს ფაშოდაზედ უფლება და ამ საქმის შესახებ დავა არ უნდა ატეხილიყო. ინგლისელების სიტყვები, რომ ეგვიპტეს დაუბრუნდეს ეს ქვეყანა, რადგან ის ვითომ იმის საკუთრება იყოს, სამართლიანად არ ჩაითვლებაო. გამორკვეული არ არის, ნათლად არა სჩანს, ინგლისი ეომება მახდის, თუ ეგვიპტეს.

—

ინგლისი. ლონდონიდგან აუწყებენ ერთს გაზეთს, რომ 12 ოქტომბერს, საღამოს გაზეთებმა ძლიერ გააკვირვეს თავიანთი მკითხველები იმ უეცარის ამბით, რომ მთავრობა გემებს საომრად ამზადებსო. განსაკუთრებით გააოცა საზოგადოება იმ ხმებმა, ვითომ მთავრობას ბრძანება გაეცეს, რომ მზად იყოლიეთ ის გემები, რომელნიც ომიანობის დროს საომარს გემებს ჰშველიანო. აგრეთვე პორტსმუტიდგანაც მოვიდა ამბავი, რომ ვითომც სანავოსნო დაწესებულებას ბრძანება გაეცეს, მრავალი გემი საომრად მზად იყოსო.

◆

დამაკვირდი

ცხოვრება რომ მარტო გონებას ემორჩილებოდეს, სიყვარული დავიწყებას მიეცემოდა, რადგან გონება და სიყვარული ერთმანეთის სისხლის მსმელი მტრები არიან...

ბ. დ—შვილი

* * *

ჯანმრთელი სული მხოლოდ ჯანმრთელს სხეულში იმყოფება.

იუვენალი

* * *

ბოროტ გეწოდენ და ნუ ბოროტ იქმნები, ხოლო კეთილ თუ ვისგანმე სახელგედვას, ლიქნად შერაცხე.

ნიკოლოოზ ტფილელი

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სახელოვანმა არტისტმა ქალმა ადელინა პატტიმ მოისურვა ინგლისის ქვეშევრდომობის მიღება და ინგლისის მთავრობამ მოსთხოვა საბუთის ქაღალდები იმის შესამოწმებლად—რამდენის წლისაა იგი, სად დაიბადა, ვინ იყვნენ იმის მშობლები და სხვა ამ გვარი ცნობები. ამ საბუთების შოვნამ ცოტა არ იყოს საქმე გაუჭირა ადელინა პატტის, რადგანაც სრულებით არ იცოდა, მადრიდის რომელ ეკკლესიაში იყო მონათლული, ეკკლესიები-კი მადრიდში ძლიერ ბევრია. ბოლოს „de San Luis“-ს ეკკლესიის წიგნებში აღმოჩნდა ჩაწერილი შემდეგი: „1843 წელს, 8 აპრილს, მე, ქორ-ეპისკოპოსმა ხოზე ლეზადემ მოვნათლე ბავშვი დედათა სქესისა, დაბადებული შარშან, 19 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე. ბავშვების მშობლები არიან დონ-სალვატორ პატტი, პროფესორი მუსიკისა და კანონიერი მეუღლე მისი დანნა კატარინა, ასული კიეზისა, ორთავენი რომაელნი. ნათლიებად იყვნენ: დონ-ხოზე სენიკო, პროფესორი მუსიკისა ვენეციაში და მეუღლე მისი დანნა როზა სენიკო, კრემანელი. ბავშვს სახელად ეწოდა „ადელინა-ჟუანნა-მარია“. ამ მოწმობით მტკიცდება, რომ ადელინა პატტი ამ ჟამად 56 წლისა არის.

* * *

ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ რამდენსამე პროფესორს განზრახვა აქვთ ჰაეროსტატით გადაფრინდნენ ალპიის მთებზეო. მართლაც ბ-ნი სპელტერინი, ციურიხის სამეტეოროლოგიო ბიუროს წევრი მაურერი, დოქტორი ბიდერმანი და პროფესორები ფორალ-მორეი და ხერგეზელი 21 სექტემბერს დილის 11 საათზე აფრინდნენ ჰაეროსტატით „Vega“. ჰაეროსტატი ჯერ ძლიერ ნელა მიდიოდა ზევითკენ, მაგრამ სპელტერინიმ გადაჰყარა ქვიშით სავსე რამდენიმე ტომარა და ჰაეროსტატი ძლიერ მალე ავიდა 2.000 ადლის სიმაღლეზე. ჰაეროსტატში მყოფთა თვალ-წინ გადიშალა მდინარე რონას ხეობა და შორიდგან მოჩანდა ჟენევის ტბა. სულ ერთის საათის განმავლობაში ჰაეროსტატი ავიდა 4.500 ადლის სიმაღლეზე, ტერმომეტრი აჩვენებდა—10°-ს. 12 საათსა და 95 წუთზე ჰაეროსტატი თავს დასცქეროდა ბონბლონს. ამ დროს ტერმომეტრი აჩვენებდა 16°-ს. ჰაეროსტატი კიდევ მაღლა ავიდა და შიგ მყოფთ თვალ წინ გადაეშალათ მთელი შვეიცარია. 12$^1/_2$ საათზე ჰაეროსტატი ავიდა 6.200 ადლის სიმაღლეზე. ტერმომეტრი—20°-ს აჩვენებდა. ამ სიმაღლეზე ჰაეროსტატი ერთს საათს იყო. ბაურერს ძილი შეეპარა, მიიტანა პირთან მილი იმ ქილისა, რომელშიაც მჟავ-დედა იყო და შეისუნთქა. მჟავ-დედამ გამოაფხიზლა და ძალ-ღონე მიუმატა. ამ დროს სპელტერინი და ბიდერმანი ალპიის მთების სურათებს იღებდნენ. პროფესორი ჰეიმი კი, რომელსაც წვერი სულ ერთიანად გაყინული ჰქონდა, სწერდა ტერმომეტრისა, ბარომეტრის და სხვა მანქანების ჩვენებას. 2 საათსა და 50 წუთზე ჰაეროსტატში მყოფთ დაინახეს ქალაქი ბეზანსონი, მეოთხე საათზე-კი ჰაეროსტატი 6.400 ადლის სიმაღლეზე იყო. სპელტერინის უფრო მაღლა უნდოდა ასვლა. შესაძლებელია, რომ გაეძლო კიდეც, რადგანაც სპელტერინი ბევრჯელ აფრენილა დიდს სიმაღლეზე და ფილტვები შეჩვეული ჰქონდა, მაგრამ ჩვენ-კი ვერ შევძლებდით. პროფესორი ალიმი ძირს დაეცა საშინლად, მოქანცული იყო. ჩვენც ვსთხოვეთ სპელტერინის, რომ ჩვენის ტანჯვისათვის ბოლო მოეღო. სპელტერინიმ თოკს დასწია, ჰაეროსტატიდგან გაზი გამოვიდა და თვით ჰაეროსტატი დიდის სისწრაფით დაეშვა ძირს. მაშინ სპელტერინიმ ქვიშა გადაჰყარა და ჰაეროსტატი უფრო მძიმედ წავიდა ქვევითკენ და ბოლოს ჩამოვედით კიდეც პროტუაში, ლონგრსა და დიჟონის შუა.

* * *

ბონნის პროფესორს ბარონს უანდერძნია ბერლინისათვის 470,000 მარკა (მარკა 25 კაპეიკს უდრის) იმ პირობით, რომ ქალაქმა ამ ფულით გამართოს სასწავლებელი, სადაც მოწაფეებს ხორცი სრულიად არ უნდა აჭამონო და მხოლოდ მცენარეულობით გამოჰკვებონო. ამ საქმის გამო ქალაქის თვით მმართველობაში დიდი კამათი ასტყდა. ზოგი იმას ამტკიცებდა, რომ მაგ პირობით შემოწირულობის მიღება ქალაქს არ შეუძლიან, რადგანაც უფლება არა გვაქვსო, ბავშვებზე ვცადოთ, რომელი საჭმელი უფრო სასარგებლოა ადამიანის სხეულისათვის. ზოგი-კი ამტკიცებდა, ეს პირიქით ძლიერ სასარგებლო იქმნება, რადგანაც მალე ყველა დარწმუნდება, რომ მცენარეულობა უკეთესია ხორცზე. ქალაქის საბჭოს კომისიამ, რომელიც საგანგებოდ ამ საქმისათვის იყო არჩეული, 7 ხმის უმეტესობით 6-ს წინააღმდეგ გადასწყვიტა—ნუ მივიღებთ განსვენებულის პროფესორის ბარონის შემოწირულებასაო.

◆

ძვირფასი განძი

უოკლად სამღვდელო კირიონმა კახეთიდგან ჩამოიტანა 68 ხელნაწერი და გადმოსცა ტფილისის საეკკლესიო მუზეუმს. მოსალოდნელი იყო, რომ კახეთი, ეს კურთხეული მხარე, სადაც უწინ ლამპრად განათლებისა ჰყვაოდა აკადემიები, დაიცავდა ჩვენ უბადრუკთათვის ბევრს ძვირფასს წიგნს. მართლაც, შემოწირულ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა რამდენიმე შესანიშნავი წიგნი. ამ წიგნების შესახებ ჩვენ მოვილაპარაკებთ შემდეგში, ხოლო აწ ვიტყვით რამდენსამე სიტყვას იმ ტყავზედ ნაწერ ხელნაწერის შესახებ, რომელსაც „ძვირფასი განძი“ ვუწოდეთ.

ეს დიდი და უწინებულესად დასურათხატებული წიგნი არის სახარება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის გადაწერა დასრულებულა 1059 წელს.

წიგნში მრავალი საყურადღებო ცნობებია სახარების თარგმნისა, თეიმურაზ I-ისა და სხ. შესახებ. ყველა ამას ჩვენ განვუზიარებთ მკითხველებს ჩვენს „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილებში“, ხოლო ამ მცირე შენიშვნის ბოლოს ჩავურთავთ იმას, რაც წიგნის უკანასკნელს ორს გვერდზე სწერია.

ქ. ადიდენ ღმერთმან ძლიერსა და უძლეველსა! ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან გამოიყვანა კოსტანტიპოვლით იოვანე პროედროსი: ძე ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისა: პროედროსისა და პოტარხონისა *) და მოვიდეს კაცხს, ეკლესიასა მათსა, თუესა აპრილსა: ია: დღესა. ახალკურიაკესა: სრულმცა არს ღუთისა მიერ დიდებაჲ მათი ჟამთა უკუნისამდე:. ესე წყალობაჲ მოაწია ღუთისა მიერ ჩუენ მონათა მათთა ზედა მამასახლისობასა გლახაკისა ქარდილაჲსასა:. ქრონიკონი იყო: სოთ:. (=1059 წ.).

შემდეგ ასო მთავრულით:

ქ:. არის:. დიდის:. კაცხის:. მონასტრის:. გლეხი:. ჯუმლად:. ასი:. გაღმაგამოღმა:. ზვარი:. და:. სარეწე: (?):. კახბერიძის:. მზღვრამდე:. კაცხს:. სანადირო:. კელ:. შეოალად:. სათევზე:. კელ:. შეოალად:. ამენ:.

სხვა ხელით და ხუცურის ჩინებულის მხედრულით აქვე ცალკე სტრიქონად:

ქ:. მეფეთ:. მეფე:. ბაგრატ:. ვამტკიცებ:.... (ერთი სიტყვა გადალეულია) ვამტკიცებ.

ჩვენს „პალეოგრაფიულ ნიმუშებს“, რომლის გამოცემა ითავა პატივცემულმა აკაკიმ, აკლდა ხელი გელათის განმაახლებლის ბაგრატ მეფისა და დღეიდგან მას დაამშვენებს ნაწერი იმ წარჩინებულ ხელმწიფისაც, რომელიც მარად იღვწოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

მ. ჯანაშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 ოქტომბერი

პეტერბურგი. 20 ოქტომბერს, იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების დღეს, პეტრე-პავლეს ტაძარში, ციხეში, წირვის შემდეგ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი. პანაშვიდს დაესწრენ სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრები და სასახლისა, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი.

ნაშუადღევის 2 საათზედ იმპერატორის ალექსანდრე III საფლავზედ სასახლის სამღვდელოებამ პანაშვიდი გარდაიხადა, რომელსაც დაესწრენ დიდნი მთავარნი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეუღლითურთ, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასული და პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგისანი, გერცოგები მეკლენბურგ-სტრელიცკები.

ლონდონი. დევონპორტიდგან, პლიმუტიდგან და პორტსმუტიდგან იუწყებიან, რომ ზღვის ვერფებში გაცხარებული მუშაობა არისო. სამხედრო გემები ზღვაში გასასვლელად ემზადებიან და ქვა-ნახშირსა და საომარს იარაღს იმზადებენო. ბრძანება არის, გემები მზად იყოს; ართილერიის ჯარის-კაცთ შინ წასვლის ნებას აღარ აძლევენ; იუწყებიან, სათადარიგო ჯარის-კაცნი იქმნებიან მოწვეულნი და თავისუფალ მეომართ თოფ იარაღს დაურიგებენო.

კონსტანტინეპოლი. პორტამ გარდასცა ოთხ სახელმწიფოს წარმომადგენელთ ნოტა, რომელიც შვიდის მუხლისაგან შესდგება. ელჩებმა აღიარეს, რომ პორტის მოთხოვნილებანი დასაკმაყოფილებელი არ არის.

პარიჟი. საკასაციო პალატის თავმჯდომარეს კავენიაკმა წერილი გაუგზავნა, რომელშიაც სთხოვს, რომ მე მომისმინეთ გამოძიების დროს, რომელიც პალატამ დანიშნაო. ბორდის მოხსენებაში და მანოს სიტყვაში კავენიაკი შეცდომას ამჩნევს, რომელიც უნდა გასწორდესო და წერილს შემდეგის სიტყვებით ათავებს: „ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ უთუოდ საჭიროდ მიგაჩნიათ გამოძიების დროს დაიბაროთ ის კაცები, რომელთაც შეძლება აქვთ იმ ტყუილ საბუთების წინააღმდეგ რაიმე სთქვან, რომელნიც პალატას გარდასცესო“.

22 ოქტომბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ II ტახტზედ აბძანების დღეს, 21 ოქტომბერს, სატახტო ქალაქში ბაირაღებით იყო მორთული. ეკკლესიებში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი.

იერუსალი. იმპერატორი სიონის მთაზედ წავიდა; დაესწრო გერმანიისა და ოსმალეთის დროშების აღმართვას მწვანე ნაწილში, რომელიც იმპერატორმა სულთანისაგან შეიძინა და გერმანიის კათოლიკებს გარდასცა.

პარიჟი. მოწონებულ იქმნა დელკასეს პოლიტიკა ფაშოდას საქმეში.

იერუსალი. იმპერატორმა მეუღლითურთ დაათვალიერა დავითის საფლავი სალამოზედ მის უდიდებულესობასთან სადილი იქმნა გამართული ოსმალეთის მოხელეთათვის. შემდეგ მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს ზეთის-ხილის მთა, გეთსიმანია, ვითანია.

კანეა. ადმირალებმა აცნობეს გუბერნატორს, რომ 23 ოქტომბერს, ჩვენის ჯარით დაწესებულებათა შენობებს დავიჭერთ და ოსმალეთის მოხელეებს იქ აღარ შეუშვებთო. კრიტში მყოფმა ოსმალეთის ჯარმა ყოველგვარ სამსახურს თავი უნდა გაანებოს და კაზარმებში დარჩეს. ჯარის-კაცებს ნება არა აქვთ იარაღით გამოვიდნენ. ჟანდარმერია დათხოვნილ იქმნა. ოსმალეთს წინადადება მისცეს გემები გაჰგზავნოს ჯარის გადასაყვანად.

განცხადება

მმართველობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ქვემოდ დასახელებულ კაცთა უძრავი მამულები, ბანკში მიღებული გირაოდ, ბანკისავე წესდების § 14 თანხმად, დანიშნულ იქმნა საჯარო ვაჭრობით გასასყიდად, რადგანაც ხვედრი ფული არ იქმნა შეტანილი ბანკში. მამული მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გაიყიდება, თუ ბანკში შეტანილ იქმნება ხვედრი ფული.

ქალაქის მამულები

ტფილისისა.

ბუნიათოვი კუზმა ტერენტის ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარაიითა და საჯინიბოთი, მიწა ზომით 161 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილისის მე-10 ნაწ. დიდუბეში.

არნაუთოვები: არტემ და დავით სერგეის ძე: სამ-სართულიანი სახლი სარდაფით, მიწა ზომით 14 საჟ. და $4^1/_2$ ოთხ-კუთ. არშ. ქ. ტფილისში, მე-2 ნაწილში, იარმუკაში.

ჯახტახნიძე აბრამ სიმონის-ძე: ორ-სართულიანი სახლი მიწა ზომით 191 ოთხ-კუთხ საჟ. მე-8 ნაწ. არსენალის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

კადურინი ვასილ თედორეს-ძე. ერთ-სართულიანი სახლი, მიწა ზომით 230 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება მე-9 ნაწილში ვარანცოვის წყლის პირის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

იოსელიანი გიორგი პროკლეს ძე: ორ-სართულიანი სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 270 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფილისში, 7 ნაწ., ნავთლუღში მილიონის ქუჩაზე.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე: ორა სართულიანი სახლი სარდაფით და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ.- ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ტფილისში, 1 ნაწ., ოლგას ქუჩაზედ.

ჰაჯი-აბდულ-ბაგი-ზაგრაბ-ოღლი. იგივე ჰაჯი-აბდულ-ბაგი ზაგრაბ-ზადე და აბდულ-ბაგი ქერბალაიზახრაბოვი: სამ-სართულიანი სახლი, ერთ-სართულიანი სახლი სირდაფითა და ორი ორ სართულიანი სახლი, მიწა ზომით $184^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. ტფილისს მე-6 ნაწილში, ძველ დამოჯნის ქუჩაზედ.

გაბაშვილი ალექსანდრე ზაქარიასძე: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი ფლიგელი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 160 ოთხ-კუთხ. საჟ. 1 ნაწილი, ქ. ტფილისი, მოსკოვის ქუჩაზე.

ამირიძე დავით ივანესძე: 2 ორ-სართულიანი სახლი, მიწა ზომით 70 ოთხ-კუთხ. საჟ. მე-3 ნაწილი ქ. ტფილისს, ორბელიანის ქუჩაზე.

არღუთინსკი-დოლგორუკოვი ნიკოლოზ ანდრიასძე: 16 დუქანი, მიწა ზომით 294 ოთხ-კუხ. საჟ. 1 ნაწილში ქ. ტფილისს, ოლგის ქუჩაზე.

გაბაშვილი ალექსანდრე ზაქარიასძე: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 185 ოთხ-კუთხ. საჟ. 1-ლ ნაწ. ქ. ტფილისს, მოსკოვის ქუჩაზე.

არღუთინსკი-დოლგორუკოვისა ეკატერინე ალექსის ასული: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით. მიწა ზომით 26 ოთხ-კუთხ. საჟ. მე-5 ნაწილში ქ. ტფილისს, ერევნის მოედნის კუთხეში.

კარაბეგოვი სვიმონ ივანეს ძე: ორი თითო სართულიანი სახლი, ერთი მათგანი სარდაფით, მიწა ზომით $125^1/_4$ საჟენი და 2 ოთხ-კუთხი არშინი. ქ. ტფილისში, 4 ნაწ., სოლოლაკში.

ზლობინისა ალექსანდრა ტიმოთეს ასული: ორ-სართულიანი სახლი, სარაია და ბაღჩა, მიზა ზომით 58 ოთხ-კუთ. საჟ. 1 ნაწ. ქ. ტფილისს, ახლად გასაყვან ქუჩაზე, კირპიჩნის ქუჩის გასწვრივ.

ივანოვი ალექსანდრე თეოდორეს ძე: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 753,52 ოთხ-კუთ. საჟ. ქ. ტფილისს., 4 ნაწ., ბალის ქუჩა.

ვოლფზონი გრიგოლ გერასიმეს ძე: სამ-სართულიანი სახლი და სამ-სართულიანი ფლიგელი, მიწა-ზომით 198, ოთხ კუთხი საჟ. ქ, ტფილისს 1 ნაწ., მოსკოვის ქუჩაზე.

გენებაშვილი მიხეილ პავლეს ძე: ერთ-სართულიანი სახლი, მიწა ზომით 60 ოთხ კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, მე 9 ნაწ., ჩუღურეთში.

ბელიაევსკისა ეკატერინე ვიქტორის ასული: სამ-სართულიანი სახლი, სამ-სართულიანი ფლიგელი და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 42 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის 1-ლ ნაწილში, სადაც უწინ მოსკოვის ზასტავა იყო.

დენისენკო ანდრია ექვთიმეს ძე: ორი თითო სართულიანი სახლი და ერთ სართულიანი ფლიგელი და სარაია, მიწა ზომით 86,42 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. ტფილისში, 10 ნაწილი, დიდუბეში.

კოცებოვები. მარიამ ანდრიას ასული და სოფიო ივანეს ასული, სამსართულიანი სახლი, ორ-სართულიანი სახლი და ერთ სართულიანი სახლი, მიწა ზომით $43^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ტფილისში, 2 ნაწილი, ნაგორნი ქუჩაზე.

ამაშუკელი ბარბარე ვახტანგის ასული: ორ-სართულიანი სახლი, ორ სართულიანი ფლიგელი სარდაფით და ორი ერთ სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით $377^1/_2$ ოთხ-კუთ. საჟენი. ქ. ტფილისში, 9 ნაწილი, ალექსანდრესა და კიროჩნის ქუჩებზე.

ბერიევი იოსებ მიხეილის ძე: ორ-სართულიანი სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 160 ოთხ-კუთ. საჟენი, ქ. ტფილისში, 9 ნაწილი ელისაბედის ქუჩაზე.

ქართველიშვილი გიორგი დავითის ძე: 2 ორ სართულიანი სახლი მეზონინით, 2 სამ-სართულიანი ფლიგელი, ორ-სართულიანი ფლიგელი, ორ სართულიანი ბეღელი და სარაია; მიწა ზომით $387^1/_2$ ოთხ-კუთ. საჟენი. ქ. ტფილისში, 9 ნაწილი, სიმონოვის ქუჩაზე.

დოლაქიშვილისა ეკატერინე ქრისტესიას ასული: ორი ერთ სართულიანი სახლი, მიწა ზომით 88 ოთხ-კუთხი საჟ, ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. ტფილისში მე-7 ნაწ., კობგეროვსკისა და წმ. ანტონის ქუჩაზე.

ანდრონიკაშვილი: ნიკოლოოზ დავითის ძე: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 300 ოთხ-კუთ. საჟ., ქ. ტფილისის 1 ნაწილში ოლგას ქუჩაზედ.

ბარნოვი მიხეილ ვასილის ძე: 2 ორ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 199,4 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ტფილისის 1 ნაწილში იარმუკის ვიწრო ქუჩაში.

ბარათაშვილები სოფიო გიორგის ასული და მიხეილ, იოსებ, დავით, ეფემია და მარიამ ნიკოლოოზის ძენი და ასულნი: სამ-სართულიანი სახლი და სამ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით $57^1/_2$ ოთხ-კუთ. საჟენი. ქ. ტფილისში. 2 ნაწილი, მთაწმინდაში.

ყულუმბეგაშვილი ლევან ბეჟანისძე: ორ-სართულიანი სახლი და ორ-სართულიანივე მინაშენი, მიწა ზომით 55 ოთხ-კუთხ. საჟ. ქ. ტფილისის 1 ნაწილი ახალ გოლანდიაში.

ყაზაროვი დავით კარაპეტის ძე და მანასიანცები: სოფიო არუთინას ასული, ეკატერინე, აიკანდუხტ და ასტღიკ კარაპეტას ასულნი: სამ-სართულიანი სახლი სარდაფით, სამ-სართულიანი ფლიგელი, ერთ-სართულიანი შენობა და სარაია, მიწა ზომით $604^1/_2$ ოთხ-კუთ. საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ტფილისში, 8 ნაწილი, რიყისა, პანასევიჩისა და სურფ-კარაპეტის ქუჩებზე.

არჯევანიძისა სიმონ ისააკის ძისა: ორ-სართულიანი სახლი და სარაია, მიწა ზომით $42^7/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილის., 2 ნაწ., მეორე ნაგორნის ქუჩაზე.

ჯავრიევისა ნატალია იოილის ასული: ორ სართულიანი სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხ. საჟ. ქ. ტფილისის 1 ნაწილში მოსკოვის ბალკაში.

გრიგორიევისა გიორგი სიმონის ძისა: სართულ-ნახევრიანი სახლი, მიწა ზომით 60 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ტფილისში, 2 ნაწ., მამადავითში.

ადამიშვილისა გიორგი ადამის ძისა: ერთ-სართულიანი სახლი და ასეთივე შენობა, მიწა ზომით 50 ოთხ-კუთხი საჟ. და $1^3/_4$ ოთხ-კუთხი არშინი, ტფილისის პირველ ნაწ., წყნეთის ქუჩის ზემოთ.

იმნაძისა ეფემია გიორგის ასული: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და მეზონინით და ერთ-სართულიანი შენობა სარდაფით, მიწა ზომით 111 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ტფილისში, 8 ნაწ.,, რიყის ქუჩაზე.

ჭარაპეტოვი სერგო ავეტიქის ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და 4 თითო-სართულიანი ფლიგელი, ერთი ამათგანი სარდაფით, მიწა ზომით 88 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილ. 5 ნაწ., ფეთხაინის ვიწრო ქუჩაზე.

კოხტოვი მნაცაკან არუთინას ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ კუთხ. ქ. ტფილისის მე-5 ნაწილში ფეთხაინის ქუჩა.

ბუღდანოვები: ვასილ, გაბრიელ, ბუღდანა, სოფიო, ანნა და ნინო იაგორას ასულნი და რუსუდან ტიმოთეს ასული და **ზახრაბოვი** ეკატერინე იაგორის ასული: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, მიწა ზომით 115 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის მე-3 ნაწილში ვანქის ქუჩაზე.

ბარათოვი დავით ზაქარიას ძე: ორ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი და სარაია, მიწა ზომით 224 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, 2 ნაწ., მთაწმინდის ქუჩაზე.

ზომბერგისა ბარბარე ალექსანდრეს ასულისა: სამ-სართულიანი სახლი, სამ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, ერთ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 177 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის 1-ლ ნაწ., ახალ ყორღანოვის ქუჩაზე და კალიუჩი-ბალკაში.

აჭუბოვებისა სალომე ოსეფას ასული, ალექსანდრე და გაბრიელ მიხეილის ძეთა და სოფიო და ელისაბედ მიხეილის ასულთა: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით, სართულ-ნახევრიანი სახლი, ერთ-სართულიანი ფლიგელი და სარაია, მიწა ზომით 119 ოთხ-კუთხი საჟ. და 2 ოთხ-კუთხი არშინი, ტფილისში 5 ნაწ., ტალახის ქუჩაზე.

კვიკვიძე სიმონ საჩინოს ძე: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი, რომელთაგანაც ერთი სარდაფიანია, მიწა ზომით $63^3/_4$ ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, 2 ნაწ. მეორე ნაგორნის ქუჩა.

კიზიროვები გუსეინ ალი-ბეგ და ფარაჯულა-ბეგ კიას ბეგის—ძენი: ორი ორ-სართულიანი სახლი და ქვითკირის საჯინიბო, მიწა ზომით 480 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისში ,6 ნაწ., ვორონცოვის ქუჩაზე.

ყანჩაველი (იგივე ყანჩელი) ლუარსაბ მამუკას ძე: ორ-სართულიანი სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 53 საჟ. და 69 ოთხ-კუთხი ვერშოკი. ქალაქ ტფილისის მე-2 ნაწილში ოვრაჟის ქუჩაზე.

გრებნერისა ფრიდერიკა გოტლიბას ასულისა და როლლოვისა ფრიდრიხ გოტლიბას ძისა: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი ფლიგელი, ორი თითო სართულიანი შენობა, ოთხი თითო-სართულიანი ფლიგელი, რომელთაგანი ერთი სარდაფიანია და ორი ორ-სართულიანი სახლი, მიწა ზომით 484,64 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ტფილისში, 10 ნაწ.. მიხეილის ქუჩაზე.

ბოღომოლოვისა მარიამ ივანეს ასული: ერთ-ნართულიანი სახლი სარდაფით და ერთ სართულიანი შენობა, მიწა ზომით 50 ოთხ-კუთხი

---

*) ეს ლიპარიტ ორბელიანი ძლიერი კაცი იყო და ჰფლობდა კლდეკარს. იგი დიდხანს ებრძოდა ბაგრატ IV-ს და კინაღამ არ დაღუპა ეს დიდებული მეფე საქართველოსი და კავკასიისა.